სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 24

2018 წ. "05" 12

ქ.თბილისი

,,შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №78-ე გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №78 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნას ,,შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №78-ე გადაწყვეტილება.
2. სააპელაციო საბჭოს 2018 წლის 5 დეკემბრის №7 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
თამარ გამსახურდია